

საქართველოს კანონი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ

საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობიდან გამომდინარე, ეს კანონი არეგულირებს სახელმწიფო საზღვრის სტატუსს, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დადგენასა და დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოს ხმელეთზე, შიდა და ტერიტორიულ წყლებში (ტერიტორიულ ზღვაში), საჰაერო სივრცეში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შეღწეზე.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი შედგება ყოფილი სსრკ-ის საკანონმდებლო აქტებით დადგენილი საქართველოს საზღვართა სოციალისტური რესპუბლიკის ადმინისტრაციული საზღვრისა და ყოფილი სსრკ-ის მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული სახელმწიფო საზღვრისაგან, რომელიც განსაზღვრავდა ყოფილი სსრკ-ის სახელმწიფო საზღვარს საქართველოს ნაწილში.

2. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

3. საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის, საკანონმდებლო აქტების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების და ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვარი – ხაზი და ამ ხაზის გასწვრივ გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიას - ხმელეთს, წყალს, წიაღს, საჰაერო სივრცეს – გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან;

ბ) სახელმწიფო საზღვრის დაცვა – სამართლებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-ოპერატიული, ოპერატიულ-სამძებრო, საინჟინრო-ტექნიკური, სარეჟიმო, ორგანიზაციული, ეკოლოგიური, სანიტარიული და სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობას, სასაზღვრო ზონაში, სასაზღვრო ზოლსა და სასაზღვრო გამტარ პუნქტებში დადგენილი წესების შესრულებასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას;

გ) სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი – სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესი; საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და არასამხედრო გემების საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში ყოფნისა და ცურვის წესები, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესები;

გ¹) (ამოღებულია);

დ) სასაზღვრო ზონა – საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ან სანაპირო ზოლიდან საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შემავალი, არაუმეტეს 5 კილომეტრის სიგანის სახმელეთო ზოლი, აგრეთვე საერთაშორისო აეროპორტის (აეროდრომის), რკინიგზის სადგურის, საერთაშორისო სამდინარო და საზღვაო პორტის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო კონტროლი. განსაკუთრებულ შემთხვევაში, რელიეფის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე სასაზღვრო ზონა შეიძლება განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან 30 კილომეტრით;

ე) სასაზღვრო ზოლი – არა უმეტეს 500 მეტრის სიგანის სასაზღვრო ზონის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემიჯნება სახელმწიფო საზღვარს;

ვ) საჰაერო სივრცე – საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის ვერტიკალურად მდებარე საჰაერო სივრცე (ატმოსფერო), რომელზედაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ვრცელდება საქართველოს სუვერენიტეტი;

ზ) საჰაერო ხომალდი – ძრავიანი ან უძრავო საფრენი აპარატი;

თ) საჰაერო მიმოსვლა – ორ სახელმწიფოს შორის (რომელთაგან ერთი საქართველოა) საჰაერო ხომალდით მგზავრთა გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა;

ი) სასაზღვრო გამტარი პუნქტი – საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის



მონაკვეთი, რკინიგზის სადგურის, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი;

კ) კარანტინი – ადამიანების, ცხოველების, ტვირთის, სათესლე და სარგავი მასალის, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის სხვა პროდუქტების საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილების დროებითი შეზღუდვა;

ლ) სახელმწიფო საზღვრის ფიზიკური და ტექნიკური დაცვა – სახელმწიფო საზღვრისა და მისი ტექნიკური აღჭურვილობის (შენობა-ნაგებობების, სასაზღვრო გამტარი პუნქტებისა და სხვა ობიექტების) მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა;

მ) პორტი – ზღვის სანაპიროს მონაკვეთი და მიმდებარე წყლის სივრცე, რომელიც აღჭურვილია სანაოსნო საშუალებების შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის, სატვირთო და სხვა სამუშაოთა ჩასატარებლად საჭირო მუდმივი მოწყობილობებითა და ჰიდროტექნიკური ნაგებობებით და რომელსაც ჰყავს ადმინისტრაცია;

ნ) სამხედრო გემი – რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი ნებისმიერი სანაოსნო საშუალება, რომელსაც მეთაურობს ამ სახელმწიფოს საზღვაო-სანაოსნო ოფიცერთა სიაში ან სხვა ამგვარ დოკუმენტში შეტანილი სამხედრო სამსახურის ოფიცერი და რომელსაც უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივი კუთვნილების აღმნიშვნელი განმასხვავებელი ნიშნები და უნდა ჰყავდეს სამხედრო დისციპლინისადმი დაქვემდებარებული ეკიპაჟი;

ო) სპეციალური დანიშნულების გემი, რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს – ნებისმიერი სახელმწიფოს სანაოსნო საშუალება, რომელიც გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა არასამეწარმეო საქმიანობისათვის;

პ) ატომური გემი – ნებისმიერი სანაოსნო საშუალება, რომელიც აღჭურვილია ატომური ენერგეტიკული დანადგარით ან შეიარაღებულია ატომური იარაღით, ანდა რომელსაც გადააქვს ბირთვული ან სხვა მომწამვლელი ნივთიერება;

ჟ) გემის შემოწმება – სანავიგაციო და სანაოსნო საშუალების, აგრეთვე ეკიპაჟის წევრების, მგზავრებისა და ტვირთის დოკუმენტების, აუცილებლობის შემთხვევაში კი გემის სათავსების შემოწმება;

რ) სასაზღვრო ინციდენტი – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს სასაზღვრო ფორმირებებს შორის ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის კონფლიქტი, რომელიც შეიძლება შეიარაღებული ხასიათის იყოს.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი № 812 - სსმ I, № 39, 25.12.2004 წ., მუხ. 191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი № 3152 - სსმ I, № 19, 01.06.2006 წ., მუხ. 141

საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კანონი № 4140 - სსმ I, № 49, 29.12.2006 წ., მუხ. 375

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი № 616 - სსმ I, № 35, 05.12.2008 წ., მუხ. 222

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 3. საქართველოს შიდა წყლები

საქართველოს შიდა წყლებს მიეკუთვნება:

ა) მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად საქართველოს ეკუთვნის;

ბ) შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის;

გ) საქართველოს პორტის წყლები, რომლებიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს პორტის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

მუხლი 4. საქართველოს ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა)

1. საქართველოს ტერიტორიულ წყლებს (ტერიტორიულ ზღვას) მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს ტერიტორიული წყლების (ტერიტორიული ზღვის) სიგანე შეიძლება დადგინდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, ხოლო ასეთის არარსებობისას – საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი № 812 - სსმ I, № 39, 25.12.2004 წ., მუხ. 191

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 5. საქართველოს ტერიტორიული წყლების მიმდებარე ზონა

1. საქართველოს ტერიტორიაზე ან საქართველოს ტერიტორიულ წყლებში საქართველოს საბაჟო, ფისკალური, საიმპორაციო ან სანიტარიული კანონმდებლობისა და წესების დარღვევის აღკვეთის მიზნით დგინდება მიმდებარე ზონა, რომელიც არის 12 საზღვაო მილის სიგანის ზღვის ზოლი და ღია ზღვის მხრიდან



ესაზღვრება საქართველოს ტერიტორიულ წყლებს.

2. მიმდებარე ზონა ვრცელდება არა უმეტეს 24 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა.

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 05.11.2010 წ., მუხ.414

საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი №4927 – ვებგვერდი, 04.07.2019წ.

მუხლი 6. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა არის საზღვაო სივრცე, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 საზღვაო მილს.

მუხლი 7. საქართველოს კონტინენტური შელფი

1. კონტინენტური შელფი არის ზღვის ფსკერი, რომელიც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის მთელ ბუნებრივ სიგრძეზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე ან ვრცელდება არა უმეტეს 200 საზღვაო მილის მანძილზე იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე.

2. ცალკეულ შემთხვევებში კონტინენტური შელფის გარე საზღვარი დგინდება მოსაზღვრე ან მოპირდაპირე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

მუხლი 8. საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ

1. საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისაგან.

2. „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შეიმუშავეს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 9. საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკა

1. საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკას, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს, განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.

2. საქართველოს მთავრობა, საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკის განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.

3. (ამოღებულია).

4. საქართველო სახელმწიფო საზღვრის დადგენისას, სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებით სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობათა რეგულირებისას სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საერთაშორისო მიმოსვლის სამართლებრივი მოწესრიგებისას ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

ა) საქართველოსა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

ბ) ურთიერთხელსაყრელი და ყოველმხრივი თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან;

გ) სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დაცვა;

დ) სასაზღვრო დაცვის მშვიდობიანი გადაწყვეტა.

5. საქართველო მოსაზღვრე სახელმწიფოებთან სასაზღვრო საკითხებს წყვეტს ურთიერთმეგობრობისა და კეთილმეზობლობის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

6. თუ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მოსაზღვრე სახელმწიფოსთან გაფორმებული არ არის საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, მისი დადგენა, საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხდება ამ მოსაზღვრე სახელმწიფოსთან დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი № 812 - სსმ I, № 39, 25.12.2004 წ., მუხ. 191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი № 3152 - სსმ I, № 19, 01.06.2006 წ., მუხ. 141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი № 616 - სსმ I, № 35, 05.12.2008 წ., მუხ. 222

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

საქართველოს 2020 წლის 15 ივლისის კანონი №6897-რს – ვებგვერდი, 28.07.2020წ.

მუხლი 10. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენა

1. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დგინდება:

ა) ხმელეთზე – რელიეფის დამახასიათებელი წერტილებისა და ხაზების ან თვალსაჩინო ორიენტირების მეშვეობით;



- ბ) ზღვაზე – საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და მათი მიმდებარე ზონის მიხედვით;
- გ) სანაოსნო მდინარეზე – მთავარი ფარვატერის ან ტალვეგის შუაში;
- დ) არასანაოსნო მდინარეზე ან ნაკადულზე – შესაბამისად მდინარის ან ნაკადულის ანდა მისი მთავარი ტოტის შუაში;
- ე) ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე – სწორ ხაზზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევსა და წყალსაცავზე გავლის წერტილებს ერთმანეთთან აერთებს;
- ვ) ხელოვნურ წყალსატევზე ან წყალსაცავზე – მის შესვლამდე არსებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ხაზის შესაბამისად;
- ზ) სასაზღვრო ზოლში მდებარე სარკინიგზო და ავტოსაგზაო ხიდებზე, კაშხლებსა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე – მათი გეგმის განივი ღერძის ან ნაგებობის შუაში, მიუხედავად იმისა, თუ სად გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი წყალზე.

2. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მდინარეზე, არხზე, ნაკადულზე, ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევზე ან წყალსაცავზე გამავალი სახელმწიფო საზღვარი არ შეიძლება გადაადგილდეს არც მათი ნაპირების მოხაზულობისა და წყლის დონის ცვლილების, არც მდინარის, ნაკადულის ან არხის კალაპოტის ამა თუ იმ მხარეს გადახრის შემთხვევაში.

მუხლი 11. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აღნიშვნა

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ადგილზე აღინიშნება თვალსაჩინო სასაზღვრო ნიშნებით, რომელთა ფორმას, ზომას და განლაგების თანამიმდევრობას განსაზღვრავს „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“.

თავი II. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი

მუხლი 12. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი ადგენს:

- ა) პირისა და ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის და მათი შემოწმების წესს;
- ბ) სახელმწიფო საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების, ნივთების, ვალუტის, ძვირფასი ლითონებისა და ქვების, მათგან დამზადებული ნაკეთობების, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დაცული ისტორიისა და კულტურის მოძრავი ნივთების ფასიანი ქალაქების გადატანის, ცხოველთა გადაყვანის წესს;
- გ) სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შემოტანა-გატანის წესს;
- დ) საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ წყლებში საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების სანაოსნო საშუალებათა შესვლის, გადაადგილებისა და ყოფნის, აგრეთვე იქიდან გამოსვლის წესს;
- ე) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდისა და სხვა საფრენი აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს;
- ვ) სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წარმოების წესს ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

საქართველოს 2001 წლის 22 ივნისის კანონი №987 - სსმ I, №22, 06.07.2001 წ., მუხ.80

მუხლი 13. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო მიმოსვლა ხდება იმ სასაზღვრო გამტარი პუნქტების მეშვეობით, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად.

1¹. სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამის აღნიშვნებს საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს ფინანსთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანო. ამ მიზნით აღნიშნული ორგანოები უფლებამოსილი არიან, საქართველოში შემომსვლელ პირს მოსთხოვონ და შეუმოწმონ პირადობის და საქართველოში შემოსვლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

- 2. სასაზღვრო გამტარი პუნქტის თავზე აღიმართება საქართველოს სახელმწიფო დროშა.
- 3. „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“ განსაზღვრავს სასაზღვრო გამტარი პუნქტების საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნის წესს.
- 4. სასაზღვრო გამტარი პუნქტების ფარგლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და დასამტკიცებლად წარუდგინს



საქართველოს მთავრობას.

5. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საჰაერო ხომალდის გადაფრენა საჰაერო დერეფნის გაუვლელად დაიშვება მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ნებართვით. ნებართვის გაცემისა და გადაფრენის პირობებს განსაზღვრავს „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4264 - სსმ I, №51, 31.12.2006 წ., მუხ.424

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

საქართველოს 2008 წლის 23 დეკემბრის კანონი №854 - სსმ I, №40, 29.12.2008 წ., მუხ.279

საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი №3751 - სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.391

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4221 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 14. კონტროლი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას

1. პირი, ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას გადის სასაზღვრო და საბაჟო კონტროლს. საიმიგრაციო, სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული, აგრეთვე კულტურულ და მხატვრულ ფასეულობათა გატანის კონტროლი ხორციელდება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ დადგენილ შემთხვევებში.

2. საზღვარგარეთიდან მომავალი, აგრეთვე საქართველოდან მიმავალი სანაოსნო საშუალების კაპიტანს, საჰაერო ხომალდის მეთაურს, მატარებლის უფროსს, ავტოტრანსპორტის მძღოლს მისი ტრანსპორტით პირთა უკანონოდ შემოყვანა-გაყვანისათვის, აკრძალული ტვირთის გადაზიდვა-გადმოზიდვისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. საზღვარგარეთიდან მომავალი ტრანსპორტის შემოწმება ხდება მფლობელის (მისი წარმომადგენლის) და/ან ამ ტრანსპორტის მომსახურე პერსონალის თანდასწრებით. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი აუცილებლობის შემთხვევაში ტრანსპორტის მფლობელი (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია მესაზღვრეებს შესამოწმებლად წარუდგინოს ტრანსპორტი, მისცეს მათ შესაძლებლობა გახსნან დალუქული ვაგონი, ავტომობილი, კონტეინერი, წყლის და საჰაერო ტრანსპორტის სხვა სათავსები.

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 05.11.2010 წ., მუხ.414

საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5948 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.

მუხლი 15. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის, ტრანსპორტის, ცხოველის, ტვირთისა და სხვა ქონების გატარება

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის, ტრანსპორტის, ტვირთის, ცხოველისა და სხვა ქონების გატარება ხდება სასაზღვრო გამტარი პუნქტის მეშვეობით და გულისხმობს პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, სახელმწიფო საზღვარზე ტრანსპორტის გადაადგილების, ცხოველის გადაყვანის, ტვირთისა და სხვა ქონების გადატანის კანონიერების ცნობას.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მოსამსახურეები პირს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაატარებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ტრანსპორტზე, ცხოველზე, ტვირთსა და სხვა ქონებაზე სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

3. თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ტრანსპორტის, ცხოველის, ტვირთისა და სხვა ქონების გატარება ხდება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესაბამისად.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

მუხლი 16. სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, აგრეთვე საქონლის შემოტანა- გატანის წესი

სასაზღვრო გამტარ პუნქტში პირისა და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნისა და იქიდან გამოსვლის, საქონლის შემოტანა-გატანის წესი დგინდება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

მუხლი 17. საჰაერო ხომალდის აფრენა და დაფრენა

1. საქართველოს ტერიტორიიდან აფრენა, აგრეთვე საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლის შემდეგ მიწაზე დაფრენა იმ საჰაერო ხომალდისა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უნდა გადაკვეთოს, ხდება საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილ აეროპორტში (აეროდრომზე), სადაც არის სასაზღვრო გამტარი პუნქტი, საბაჟო გამშვები პუნქტი და სხვა შესაბამისი სამსახურები.

2. საჰაერო ხომალდის აფრენა-დაფრენა ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული



წესით დაიშვება მხოლოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ნებართვით, რომლის გაცემის პირობებსა და წესს ადგენს „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“.

3. საჯარო ხომალდს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას და საქართველოს საჯარო სივრცეში სატრანზიტო გადაფრენისას ეკრძალება:

- ა) ისეთ აეროპორტში (აეროდრომზე) დაფრენა ან ისეთი აეროპორტიდან (აეროდრომიდან) აფრენა, რომელიც არ არის გახსნილი საერთაშორისო მიმოსვლისათვის;
- ბ) ფრენა აკრძალულ რაიონებში, რის შესახებაც დადგენილი წესით საყოველთაოდ არის გამოცხადებული;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აკრძალული სხვა საქმიანობა.

4. უცხო სახელმწიფოს სამხედრო საჯარო ხომალდის შემოსვლა საქართველოს საჯარო სივრცეში ამ კანონით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე მიიჩნევა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რის აღსაკვეთადაც საქართველო მიიღებს საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრულ ზომებს.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2008 წლის 23 დეკემბრის კანონი №854 - სსმ I, №40, 29.12.2008 წ., მუხ.279

საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი №3751 - სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.391

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 05.11.2010 წ., მუხ.414

საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4221 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.

საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5948 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.

მუხლი 18. საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების შემოსვლის წესი

1. უცხო სახელმწიფოს სამხედრო გემის შემოსვლა საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში ამ კანონით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე მიიჩნევა საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად, რის აღსაკვეთადაც საქართველო მიიღებს საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრულ ზომებს.

2. უცხო სახელმწიფოს არასამხედრო და სამხედრო გემები საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში შეიძლება შემოვიდნენ, თუ პორტები ღიაა ასეთი გემების შემოსვლისათვის. ღია პორტების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სანაოსნო საშუალებათა შემოსვლის, ყოფნის, სატვირთო და სამგზავრო ოპერაციების ჩატარების, ნაპირთან კავშირის, ეკიპაჟის წევრთა ნაპირზე ჩამოსვლის და სხვა წესები დგინდება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“.

3. უცხო სახელმწიფოს სპეციალური დანიშნულების გემი, რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს, საქართველოს პორტებსა და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად დიპლომატიური არხებით შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს წინაშე შემოსვლამდე არა უგვიანეს 14 დღისა. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს გემის სახელწოდება, ტიპი, ბორტზე მყოფ მგზავრთა სია და სხვა მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო თავის გადაწყვეტილებას აცნობებს გემის მფლობელს (მის წარმომადგენელს) შემოსვლამდე არა უგვიანეს 7 დღისა. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ გემებზე, რომლებიც ახორციელებენ სამაშველო ან ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო სამუშაოებს.

4. უცხო სახელმწიფოს სამხედრო გემი საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად დიპლომატიური არხებით შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე შემოსვლამდე არაუგვიანეს 1 თვისა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 1 კვირის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და დასკვნას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 2 კვირის ვადაში.

4¹. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (შემდგომ – ნატო) გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობის ოპერატიულ დაქვემდებარებაში არსებული, ნატოს დროშის ქვეშ მცურავი სამხედრო-საზღვაო შენაერთის ან/და მცურავი საშუალების საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში, შიდა საზღვაო წყლებში, ღია ნავსადგურებში შესვლისა და რეიდზე დგომის ნებართვის გაცემის წესი მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. უცხო სახელმწიფოს ატომური გემის საქართველოს პორტებსა და შიდა წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად გემის მფლობელი ქვეყანა გემის შემოსვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა დიპლომატიური არხებით შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 1 კვირის ვადაში განიხილავს შუამდგომლობას და დასკვნას წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ამ სახელმწიფოს თანხმობის ან უარის შესახებ ეცნობება გემის შემოსვლამდე არაუგვიანეს 14 დღისა.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

საქართველოს 2015 წლის 4 მარტის კანონი №3130 – ვებგვერდი, 23.03.2015წ.



მუხლი 19. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლა

1. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გემებისათვის მშვიდობიანი გავლა ნებადართულია.
2. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გავლად ითვლება ტერიტორიული წყლების შეუჩერებლად და სათანადო სისწრაფით გადაკვეთა საქართველოს შიდა წყლებში შეუსვლელად ანდა საქართველოს შიდა წყლებსა და პორტებში შესვლა ან იქიდან გამოსვლა ღია ზღვაში გასვლის მიზნით.
3. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლისას გემს ეკრძალება:
 - ა) ნაოსნობისათვის აკრძალულ იმ რაიონებში შესვლა, რომელთა შესახებაც ცნობები დადგენილი წესით საყოველთაოდ არის გამოცხადებული;
 - ბ) გაჩერება, ადამიანების გადმოსხდომა (ჩასხდომა), ტვირთებისა და ცხოველების გადმოტვირთვა (ჩატვირთვა), აგრეთვე სანაოსნო საშუალებათა წყალში ჩაშვება, საფრენი აპარატების გემიდან აფრენა და გემზე მიღება, სარეწი და კვლევითი საქმიანობა საამისოდ აკრძალულ ადგილებში ან დაშვებულ ადგილებში, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნებართვის გარეშე;
 - გ) ისეთი საქმიანობა, რომელიც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით;
 - დ) საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ძალის გამოყენება, ძალის გამოყენების მუქარა ან სხვა ქმედება, რომელიც არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით აღიარებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს;
 - ე) მანევრები ან სამხედრო სწავლება იარაღის გამოყენებით;
 - ვ) ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის შეგროვებას საქართველოს უშიშროებისა და თავდაცვის საზიანოდ;
 - ზ) პროპაგანდის ნებისმიერი აქტი, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს თავდაცვასა და უშიშროებას;
 - თ) ნებისმიერი სამხედრო აღჭურვილობის გემზე მიღება ან გემიდან მოხსნა, სამხედრო საფრენი საშუალების გემიდან აფრენა ან გემზე მიღება;
 - ი) ზღვის განზრახ, მნიშვნელოვნად დაბინძურება;
 - კ) ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული არ არის გემის გავლასთან.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება იმ გემებზე, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანთა გადასარჩენად წარმოებულ სამაშველო სამუშაოებში.
5. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მშვიდობიანი გავლის დროს უცხო სახელმწიფოს გემზე ან სპეციალური დანიშნულების გემზე, რომელიც ასრულებს სახელმწიფო დავალებას, საბორტო იარაღი უნდა იყოს გადასატანად გათვალისწინებულ მდგომარეობაში, საგანგებო შალითაში, ხოლო თევზჭერის საშუალება და სხვა აღჭურვილობა მოთავსებული უნდა იყოს შესაბამისად განკუთვნილ ადგილზე.
6. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში წყალქვეშა ნავი და სხვა წყალქვეშა საშუალება უნდა გადაადგილდეს წყალზედა მდგომარეობაში და უნდა აღმართოს თავისი ალამი.
7. საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, სადაც დადგენილია სანავიგაციო გზები და მოძრაობის გამიჯვნის სქემები, უცხო სახელმწიფოს გემი უნდა გადაადგილდეს აღნიშნული გზებით და მოძრაობისას უნდა ისარგებლოს ამ სქემებით. სანავიგაციო გზებსა და მოძრაობის გამიჯვნის სქემებს, აგრეთვე მათ კოორდინატებს ადგენს საქართველოს მთავრობა.
8. საქართველოს სასიცოცხლო და სუვერენული ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს, შეზღუდოს ან აკრძალოს უცხო სახელმწიფოს ატომური, სამხედრო ან არასამხედრო გემის შემოსვლა და ყოფნა საქართველოს ტერიტორიული და შიგა წყლების რომელიმე რაიონში.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 20. უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების მიერ ნავიგაციის და სხვა წესების დაცვის ვალდებულებანი

1. საქართველოს ტერიტორიულ და შიგ ა წყლებში შემოსვლისა და ყოფნის დროს უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემები ვალდებული არიან დაიცვან რადიოკავშირის, ნავიგაციის, საბორტო, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული და სანიტარიული წესები, აგრეთვე ამ კანონითა და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ დადგენილი სხვა მოთხოვნები.
2. საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში იძულებითი შემოსვლისა და ყოფნის ან ცურვის წესების იძულებითი დარღვევის შემთხვევაში უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემები ვალდებული არიან ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციას.
3. თუ უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემი არ აცნობებს საქართველოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციას საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში იძულებითი შემოსვლის, ყოფნის ან ცურვის წესების იძულებითი დარღვევის თაობაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო დამოუკიდებლად ან საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებთან ერთად დროებით აკავებს ამ გემს აღნიშნული წესების



დარღვევის გამოძვევებზე გარემოებათა შესამოწმებლად. თუ აღმოჩნდა, რომ გემის მიერ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის, ყოფნის ან ცურვის წესების დარღვევას არა აქვს გამამართლებელი საფუძველი, მის მიმართ გამოიყენება ამ კანონის 36-ე, 37-ე და 38-ე მუხლებით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები.

4. თუ უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან ატომური გემი არ აცნობებს საქართველოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციას საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში იძულებითი შემოსვლის, ყოფნის ან ცურვის წესების იძულებითი დარღვევის თაობაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო დამოუკიდებლად ან საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებთან ერთად დროებით აკავებს ამ გემს აღნიშნული წესების დარღვევის გამოძვევებზე გარემოებათა შესამოწმებლად. თუ არ არსებობს საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან ატომური გემის იძულებითი შემოსვლის გამოძვევები გარემოებები და ასეთი შემოსვლა მიზნად ისახავდა ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ქმედებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო აკავებს სამხედრო ან ატომურ გემს და საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოები დიპლომატიური არხებით აწარმოებენ მოლაპარაკებას გემის მფლობელ ქვეყანასთან.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

საქართველოს 2008 წლის 19 დეკემბრის კანონი №782 - სსმ I, №40, 29.12.2008 წ., მუხ.250

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 05.11.2010 წ., მუხ.414

საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5948 - ვებგვერდი, 12.04.2012წ.

მუხლი 21. საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში სხვა სახელმწიფოს გემისათვის სარეწი, კვლევითი და ჰიდროგრაფიული საქმიანობის აკრძალვა

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში უცხო სახელმწიფოს გემს ეკრძალება სარეწი, კვლევითი და ჰიდროგრაფიული საქმიანობა.

მუხლი 22. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სამეურნეო საქმიანობის წესი

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში ნაოსნობა, წყალზე მოწყობილი ობიექტებით სარგებლობა ან წყლის სხვაგვარად გამოყენება, ჰიდრონაგებობების მოწყობა და სხვა სამუშაოების ჩატარება, აგრეთვე მიწისა და ტყის გამოყენება, სამთო საქმის წარმოება, გეოლოგიურ-სადიებო, სარეწი და სხვა სამეურნეო საქმიანობა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 23. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიმოსვლის დროებითი შეწყვეტა. კარანტინი

საქართველოს ან მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საფრთხის არსებობისას საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შეიძლება დროებით შეწყდეს მიმოსვლა ან შემოღებულ იქნეს კარანტინი საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთათვის.

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 - ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 24. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევად ჩაითვლება:

ა) პირი ან ტრანსპორტი, რომელმაც გადაკვეთა ან ცდილობდა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სასაზღვრო გამტარი პუნქტის გაუვლელად ანდა სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით, მაგრამ მისი გადაკვეთისათვის დადგენილი წესების დარღვევით, თუ მოსაზღვრე სახელმწიფოსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის საზღვარზე თავისუფალი მიმოსვლის წესი;

ბ) უცხო სახელმწიფოს არასამხედრო ან სამხედრო გემი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში შემოსვლისას დაარღვია ამ კანონით დადგენილი წესები;

გ) საჰაერო ხომალდი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა შესაბამისი ნებართვის გარეშე ან დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის წესი.

თავი III. სასაზღვრო რეჟიმი

მუხლი 25. სასაზღვრო ზონა და სასაზღვრო ზოლი

1. სასაზღვრო ზონა, როგორც წესი, დგინდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რაიონის, ქალაქის, სოფლის, თემის, დაბის ტერიტორიის ფარგლებში, ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით.



სასაზღვრო ზონაში (სადაც ის დგინდება) შედის საქართველოს შიდა წყლების ნაწილი და ამ წყლებში მდებარე კუნძულები.

2. სასაზღვრო ზოლი დგინდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ ხმელეთზე ან საზღვარზე გამავალი ზღვის, მდინარის, ტბის, წყალსატევის ნაპირების გასწვრივ.

3. ამ კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ადგენს საქართველოს მთავრობა.

4. სასაზღვრო ზოლის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა. ამ მონაკვეთზე ისტორიული და მატერიალური კულტურის ძეგლებს, ფლორასა და ფაუნას იცავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო უწყებების უშუალო მონაწილეობით.

5. სასაზღვრო ზოლში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არ არის დაკავშირებული მის მოვლასთან, სასაზღვრო ნიშნების შემოწმებასთან და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ღონისძიებებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არის გათვალისწინებული. ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს პრემიერ-მინისტრს უფლება აქვს, სასაზღვრო ზოლში დაუშვას გარკვეული სახის სამეურნეო საქმიანობა.

6. სასაზღვრო ზოლის რეჟიმი არ ვრცელდება დასახლებულ პუნქტებზე. მოსახლეობის დასვენების ადგილებში სასაზღვრო ზოლის რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მიერ სპეციალურად დადგენილ ტერიტორიაზე.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 - ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 26. სასაზღვრო რეჟიმი

1. „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“ ადგენს სასაზღვრო რეჟიმს სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში. სასაზღვრო რეჟიმი ამ კანონის შესაბამისად აზუსტებს სამუშაოთა წარმოების, პირთა შესვლის, დროებით ყოფნისა და გადაადგილების, აგრეთვე ნავმისადგომებში, პორტებსა და ბაზირების სხვა პუნქტებში, საქართველოს შიდა წყლებში არასამხედრო და სამხედრო გემების აღრიცხვის, ყოფნისა და ცურვის წესებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, ნავმისადგომებში, პორტებსა და ბაზირების სხვა პუნქტებში, საქართველოს შიდა წყლებში არასამხედრო და სამხედრო გემების აღრიცხვის, ყოფნისა და ცურვის წესები ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რაიონების ტერიტორიაზედაც, სადაც სასაზღვრო ზონა დადგენილი არ არის.

მუხლი 27. სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში პირისა და ტრანსპორტის შესვლა, დროებით ყოფნა და გადაადგილება

1. სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში პირისა და ტრანსპორტის შესვლა, დროებით ყოფნა და გადაადგილება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის და ტრანსპორტზე სათანადო დოკუმენტების წარდგენისას.

2. სასაზღვრო ზოლში პირისა და ტრანსპორტის შესვლის ადგილი და დრო, გადაადგილების მარშრუტი, აგრეთვე მათი ყოფნის სხვა პირობები დგინდება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“.

მუხლი 28. სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

1. სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დროს დაცული უნდა იყოს ამ კანონის 26-ე და 27-ე მუხლების მოთხოვნები. პირმა, რომელიც აპირებს ასეთი საქმიანობის განხორციელებას, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხასიათი, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირის ვინაობა.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, ამ კანონის 33-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების დასკვნის საფუძველზე აუკრძალოს პირს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, თუ მან შეტყობინებაში მიუთითა არასწორი მონაცემები და სამუშაოთა წარმოება ზიანს აყენებს გარემოს ან ადამიანთა ჯანმრთელობას.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

მუხლი 29. საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში, შიდა საზღვაო წყლებში, პორტებსა და ბაზირების სხვა პუნქტებში არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების აღრიცხვის, ყოფნისა და ცურვის წესები

საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში, შიდა საზღვაო წყლებში, პორტებსა და ბაზირების სხვა პუნქტებში არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების აღრიცხვის, ყოფნისა და ცურვის წესებს აკონტროლებს



„სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

მუხლი 30. სასაზღვრო რეჟიმი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში

1. სასაზღვრო რეჟიმი საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში – ნებისმიერი პირისა და ყველა სახის ტრანსპორტის შემოსვლა-გადაადგილება, აგრეთვე სხვა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია პირის, ტრანსპორტის, ტვირთისა და სხვა ქონების გადაადგილებასთან, საზღვრისპირა სარკინიგზო და საავტომობილო სადგურის, საზღვაო პორტის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ფარგლებში განისაზღვრება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“.

2. სასაზღვრო რეჟიმს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამტარ პუნქტებში „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესაბამისად ადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებით. იმ ადგილებსა და შენობებში, სადაც ხორციელდება სასაზღვრო კონტროლი, დგინდება დამატებითი სარეჟიმო წესები, რომლებიც არეგულირებს საზღვარგარეთიდან შემომსვლელ პირთა და ტრანსპორტის კონტროლს, აგრეთვე მომსახურე პერსონალის დაშვების პრინციპებს.

3. საერთაშორისო მიმოსვლისათვის განკუთვნილ გზებზე წესდება და ამ კანონის მე-13 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შენდება და იხსნება სასაზღვრო გამტარი პუნქტები.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 05.11.2010 წ., მუხ.414

თავი IV. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა

მუხლი 31. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ამოცანები

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის ამოცანებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფიზიკური და ტექნიკური დაცვა;

ბ) სასაზღვრო, საკარანტინო, საავტომობილო, ვეტერინარული, ფიტოსანიტარული და საბაჟო კონტროლი;

გ) სასაზღვრო ინციდენტებისა და მოსაზღვრე სახელმწიფოთა სამხედრო ან სხვა სახის აგრესიის თავიდან აცილება და მოგერიება;

დ) მიგრაციული პროცესების კონტროლი;

ე) პირისა და ტრანსპორტის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის, აგრეთვე ტვირთისა და სხვა ქონების სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილების კონტროლი;

ვ) სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონტროლი სასაზღვრო ზონაში;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის დადგენა და დამრღვევის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, სამართალდარღვევის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრა.

საქართველოს 2010 წლის 12 ნოემბრის კანონი №3806 - სსმ I, №66, 05.11.2010 წ., მუხ.414

საქართველოს 2012 წლის 27 მარტის კანონი №5948 – ვებგვერდი, 12.04.2012წ.

მუხლი 32. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებული კომპეტენციაა.

2. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვა ხმელეთზე, ტერიტორიულ წყლებსა და შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საერთაშორისო სასაზღვრო გამტარ პუნქტებში ევალუბა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს, ხოლო საჰაერო სივრცეში ევალუბათ საქართველოს თავდაცვის ძალებს.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო და საქართველოს თავდაცვის ძალები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

4. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებს, როგორც საზღვრის დამცველებს, უწესდებათ შეღავათები.

5. მაღალმთიან რეგიონში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქენი სამხედრო სამსახურს გადიან ადგილზე სასაზღვრო ჯარებში. მაღალმთიან რეგიონებში სამხედრო ვალდებულების მოხდის პრივილეგია ენიჭება აგრეთვე ამ რეგიონებიდან ბარში ჩასახლებულ მოსახლეობას.



საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი №2090 - სსმ I, №24(31), 26.06.1999 წ., მუხ.117
საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141
საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №3020 - სსმ I, №23, 04.05.2010 წ., მუხ.139
საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3593 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

მუხლი 33. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები

1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტები არიან:
 - ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
 - ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
 - გ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
2. საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან, არიან:
 - ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური;
 - ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
 - გ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
 - დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
 - ე) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.
3. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნულ ორგანოთა უფლებამოსილებები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას განისაზღვრება „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191
საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4264 - სსმ I, №51, 31.12.2006 წ., მუხ.424
საქართველოს 2008 წლის 23 დეკემბრის კანონი №854 - სსმ I, №40, 29.12.2008 წ., მუხ.279
საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი №3751 - სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.391
საქართველოს 2011 წლის 11 მარტის კანონი №4420 – ვებგვერდი, 17.03.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 25 მარტის კანონი №484 – ვებგვერდი, 05.04.2013წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3926 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის კანონი №1713 – ვებგვერდი, 14.12.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3080 – ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 34. საქართველოს სასაზღვრო წარმომადგენელი – სასაზღვრო კომისარი

1. საქართველოს სასაზღვრო პოლიტიკის განსახორციელებლად და სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, აგრეთვე სასაზღვრო ინციდენტების მოსაგვარებლად საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გარკვეულ უბნებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს სასაზღვრო წარმომადგენელს – სასაზღვრო კომისარს და განუსაზღვრავს მას უფლებამოსილებას.
2. სასაზღვრო კომისარი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, სხვა ნორმატიული აქტებით.
3. საკითხი, რომელსაც ვერ მოაწესრიგებს სასაზღვრო კომისარი, წყდება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დავების მშვიდობიანი მოგვარების წესებით.
4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად სასაზღვრო კომისარს და მის თანმხლებ ოფიციალურ პირებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას აქვთ „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებული განსაკუთრებული სტატუსი.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141
საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222
საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის კანონი №1154 – ვებგვერდი, 08.10.2013წ.

მუხლი 35. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანოების უფლებამოსილებანი

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანოებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზონაში, სასაზღვრო ზოლში, საზღვაო სივრცესა და სასაზღვრო გამტარ პუნქტებში აქვთ შემდეგი უფლება-მოვალეობანი:
- ა) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დროებით შეზღუდონ ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება შემდგომი კომპენსაციით სახელმწიფოს ხარჯზე;
 - ბ) „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ დადგენილ შემთხვევებში განათავსონ გემზე სასაზღვრო ბადრაგი, გემის პორტში ან პორტიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე გაცილების მიზნით;



გ) ამ მუხლის „ზ“, „თ“, „ი“, „ფ“ და „კ“ ქვეპუნქტებში მითითებული პირები გადასცენ საგამომიებო ორგანოებს, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) განახორციელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციით გათვალისწინებული „ცხელ კვალზე დევნის უფლება“;

ე) დაიცვან საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, დადგენილი სასაზღვრო ნიშნები, სხვა სასაზღვრო შენობა-ნაგებობები და ობიექტები;

ვ) აღკვეთონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო შეცვლის ნებისმიერი მცდელობა;

ზ) მოიგერიონ შეიარაღებული ჯგუფების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის მცდელობა ან სხვა სახის პროვოკაცია, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში დაიცვან სახელმწიფო და მოქალაქეთა კერძო საკუთრება ამგვარი ხელყოფისაგან;

თ) თავიდან აიცილონ და აღკვეთონ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის უკანონოდ გადაადგილება, აგრეთვე ტრანსპორტის, ტვირთისა და სხვა ქონების უკანონოდ გადატანა;

ი) გამოავლინონ და დააკავონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი;

კ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაატარონ პირი, ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება საზღვრის გადაკვეთისათვის საჭირო სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტების წარდგენისას;

ლ) სათანადო წესით მოუარონ და დაიცვან სასაზღვრო გამტარი პუნქტები და სხვა სასაზღვრო ობიექტები;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან და ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად აღკვეთონ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ფეთქებადი, მომწამვლელი, რადიოაქტიური და ნარკოტიკული საშუალებების, იარაღისა და საბრძოლო მასალის, აგრეთვე კონტრაბანდული და სხვა აკრძალული საგნების გადაადგილება და გადატანა;

ნ) ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ სასაზღვრო რეჟიმის დაცვა;

ო) უზრუნველყონ სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;

პ) გააკონტროლონ სასაზღვრო რეჟიმი დამოუკიდებლად ან ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად აეროპორტებში (აეროდრომებზე), რკინიგზის სადგურებში, პორტებში, საერთაშორისო საავტომობილო გზების სასაზღვრო გამტარ პუნქტებში;

ჟ) გააკონტროლონ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის, ყოფნისა და ცურვის დადგენილი წესების შესრულება;

რ) შეაჩერონ, დააკავონ, შეამოწმონ და დარღვევის აღსაკვეთად მიიღონ აუცილებელი ზომები უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების მიმართ, თუ მათ დაარღვიეს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ზონის რეჟიმი;

ს) დაეხმარონ სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში, სარეწ საქმიანობასა და ეკოსისტემის დაცვაში, აგრეთვე სასაზღვრო ზონაში სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციასა და ხანძრის ჩაქრობაში;

ტ) განათავსონ საზღვრის დაცვის საგუშაგოები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე;

უ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეუზღუდავად გადაადგილდნენ სასაზღვრო ზონაში, შეამოწმონ დოკუმენტები, გააკონტროლონ ტრანსპორტი და ტვირთი;

ფ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააკავონ და დროებითი პატიმრობის ადგილას მოათავსონ პირი, თუ მან დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა, რაც იწვევს ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

ქ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიწვევით და მასთან ერთად შეამოწმონ ტრანსპორტი, ტვირთი და სხვა ქონება;

ღ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან ერთად ამოიღონ საგნები, რომელთა შემოტანა ან გატანა აკრძალულია, აღკვეთონ კონტრაბანდა;

ყ) საქართველოში შემომსვლელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მოსთხოვონ და შეუმოწმონ პირადობის და საქართველოში შემოსვლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, შეიტანონ მათში შესაბამისი აღნიშვნები;

შ) არ გაატარონ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირი, რომელსაც არა აქვს ამ მუხლის „ყ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დოკუმენტები;

ჩ) აუკრძალონ ნაპირზე ჩამოსვლა და ყოფნა უცხო სახელმწიფოს გემის ეკიპაჟის წევრებს და გემზე მყოფ სხვა პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს სამართალდარღვევა საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და პორტებში, ტერიტორიულ ზღვაში და მიმდებარე ზონაში ყოფნისა და ცურვის დროს;

ც) საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში საქართველოს ან უცხო სახელმწიფოს გემს მოსთხოვონ სახელმწიფო დროშის აღმართვა;

ძ) აწარმოონ გამოკითხვა საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში გემის ან სხვა სანაოსნო საშუალების შემოსვლის მიზნის შესახებ;



წ) შესთავაზონ არასამხედრო ან სამხედრო გემს ანდა სხვა სანაოსნო საშუალებას, შეცვალოს კურსი, თუ მას გეზი აღებული აქვს ნაოსნობისათვის დახურული ზონისკენ ან არ იცავს დადგენილ სანავიგაციო გზებს და მოძრაობის გამიჯვნის სქემებს;

ჟ) გააჩერონ და შეამოწმონ არასამხედრო ან სამხედრო გემი ანდა სხვა სანაოსნო საშუალება, თუ იგი არ უპასუხებს გამოკითხვის სიგნალს, იმყოფება ნაოსნობისათვის დახურულ ზონაში, არღვევს საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის, ყოფნისა და ცურვის წესებს, გეზი აღებული აქვს ნაოსნობისათვის დახურული ზონისკენ ან არ იცავს დადგენილ სანავიგაციო გზებს და მოძრაობის გამიჯვნის სქემებს, აგრეთვე თუ ეწევა ამ კანონის 21-ე მუხლით აკრძალულ საქმიანობას;

ბ) განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე დაიცვან საქართველოს ხელოვნური კუნძულები, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სახის დანადგარები და ნაგებობები;

ჯ) განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე განახორციელონ კონტროლი და მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციით დადგენილი ზომები უცხო სახელმწიფოთა და უკანონო სამეცნიერო-კვლევითი ან სარეწი საქმიანობის აღსაკვეთად და ზღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;

3) ჩადენილი დანაშაულისათვის ჩამოიყვანონ და დააკავონ უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემის ეკიპაჟის წევრები და გემზე მყოფი სხვა პირები, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

3¹) განახორციელონ სხვა საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან, ამ კანონით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

3²) მონაწილეობა მიიღონ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ და მატერიალურ-კულტურულ განვითარებაში.

საქართველოს 1999 წლის 9 ივნისის კანონი №2090 - სსმ I, №24(31), 26.06.1999 წ., მუხ.117

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის კანონი №1362 - სსმ I, №19, 28.04.2005 წ., მუხ.134

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2006 წლის 29 დეკემბრის კანონი №4264 - სსმ I, №51, 31.12.2006 წ., მუხ.424

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

მუხლი 36. საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემების დაკავების საფუძველი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში მყოფ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემებს აკავებს და ბადრაგის თანხლებით გზავნის უახლოეს პორტში ან სხვა შესაბამის პუნქტში, თუ:

ა) გემი იმყოფება დადგენილი წესის შესაბამისად ნაოსნობისათვის დახურულ ზონაში, გეზი აღებული აქვს ნაოსნობისათვის დახურული ზონისკენ ან არ იცავს დადგენილ სანავიგაციო გზებს და მოძრაობის გამიჯვნის სქემებს;

ბ) გემში პირთა ჩასხდომა-გადმოსხდომა, აგრეთვე ტვირთის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა ხდება იმ ადგილებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“;

გ) გემი უკანონოდ ეწევა სარეწ, კვლევით ან ჰიდროგრაფიულ საქმიანობას, ყრის ან მარხავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან წყლის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებსა და დამაბინძურებელ ნარჩენებს, მასალებს ანდა მის სხვა მოქმედებას ზიანი მოაქვს საქართველოსთვის;

დ) საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების ნებართვის გარეშე ხდება გემბანიდან ნებისმიერი სახის საფრენი აპარატის აფრენა ან გემბანზე დაფრენა;

ე) გემის კაპიტანი არ წარადგენს გემის, ტვირთის, მგზავრებისა და სხვა აუცილებელ დოკუმენტებს;

ვ) გემი არ ემორჩილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელთა ან ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებულ უფლებამოსილ ორგანოთა განკარგულებებს;

ზ) გემი არღვევს ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ წესებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

მუხლი 37. არასამხედრო გემის შემოწმებისა და დაკავების ოქმი

1. არასამხედრო გემის შემოწმების ან დაკავების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები და შემოწმებული ან დაკავებული გემის კაპიტანი.

2. გემის დაკავების შემთხვევაში კაპიტანს ჩამოერთმევა გემისა და ტვირთის დოკუმენტები და ისინი დაერთვის ოქმს. თუ შემოწმებული ან დაკავებული გემის კაპიტანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მოქმედება არამართებულად მიაჩნია ან არ



ეთანხმება ოქმის შინაარსს, მას უფლება აქვს ნებისმიერ ენაზე გააკეთოს შენიშვნა თვით ოქმში ან ოქმისათვის დართულ დოკუმენტზე.

3. თუ გემის კაპიტანი ხელს არ აწერს ოქმს, მასში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.
საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141
საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი №616 - სსმ I, №35, 05.12.2008 წ., მუხ.222

მუხლი 38. უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემის დაკავების შემდგომი მოქმედება

უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემი დაკავების შემდეგ გადაეცემა ამ სახელმწიფოს საგანგებო რწმუნების მქონე წარმომადგენლებს ან გაძევებულ იქნება საქართველოს ტერიტორიიდან. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ამ კანონის 36-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ხდება ქონების და მისი მოპოვების საშუალებათა დროებით ჩამორთმევა. თუ სასამართლო გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს, ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდება მფლობელს, ქონების დაკავებით მიყენებული ზიანის სრული კომპენსაციით სახელმწიფოს ხარჯზე.
საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის კანონი №375 - სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ.391

მუხლი 39. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის ან საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის წესის დარღვევისას საჰაერო ხომალდის მიმართ გამოსაყენებელი წესები

საჰაერო ხომალდის მიმართ, რომელმაც დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის წესი, „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ დგინდება განსაკუთრებული წესები.

მუხლი 40. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას იარაღის, საბრძოლო ტექნიკისა და სპეციალურ საშუალებათა გამოყენება

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოები და საქართველოს თავდაცვის ძალები საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისას საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული შემოჭრის მოსაგერიებლად, საჰაერო ტრანსპორტისა და სანაოსნო ტრანსპორტის საზღვარგარეთ გატაცების მცდელობის აღსაკვეთად (თუ მასში მგზავრები არ იმყოფებიან) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით იყენებენ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას.

2. იარაღი და საბრძოლო ტექნიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

ა) პირის, საჰაერო, სანაოსნო და სხვა სახის ტრანსპორტის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა ან ცდილობდა გადაეკვეთა ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევით; მის მიერ ძალის გამოყენების საპასუხოდ, თუ დარღვევის აღკვეთა და დამრღვევის დაკავება სხვა საშუალებით შეუძლებელია;

ბ) ადამიანთა თავდასხმისაგან დასაცავად, რომელიც მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება;

გ) მძევლების გასათავისუფლებლად;

დ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მომსახურე პირებზე თავდასხმის აღსაკვეთად;

ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფზე ან ობიექტზე თავდასხმის, მათ შორის, სანაოსნო საშუალებასა და საჰაერო ხომალდზე შეიარაღებული თავდასხმის, აღსაკვეთად.

3. იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენებას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს გაფრთხილება მათი გამოყენების შესახებ.

4. იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გაუფრთხილებლად გამოყენება შეიძლება სამხედრო მოსამსახურეებსა და სხვა მოქალაქეებზე მოულოდნელი ან შეიარაღებული თავდასხმისას, საჰაერო, სანაოსნო და სხვა სახის ტრანსპორტზე საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით თავდასხმისას, იარაღით წინააღმდეგობის გაწევისას, დაკავებულ პირთა იარაღით გაქცევისას და მძევლების გასათავისუფლებლად.

5. სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ იარაღი გამოიყენონ განგაშის ან დახმარების სიგნალის მიღებისას, აგრეთვე ცხოველთა გაუვნებელსაყოფად, თუ ისინი ემუქრებიან სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

6. აკრძალულია იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენება:

ა) ქალებისა და არასრულწლოვანთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი მხრიდან ხდება შეიარაღებული თავდასხმა ან იარაღით წინააღმდეგობის გაწევა იმ საჰაერო, სანაოსნო და სხვა სახის ტრანსპორტზე, რომლებშიც მგზავრები იმყოფებიან;

ბ) იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით ან შემთხვევით უკანონოდ გადაკვეთეს ან ცდილობდნენ გადაეკვეთათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

7. იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენების წესი განისაზღვრება „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესაბამისად.

8. საქართველოს თავდაცვის ძალების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს



სახელმწიფო საზღვრის დაცვაში, შეუძლიათ იარაღი და საბრძოლო ტექნიკა გამოიყენონ ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

9. სპეციალურ საშუალებათა (ხელბორკილი, რეზინის ხელკეტი, ცრემლმდენი საშუალებანი, ტრანსპორტის იძულებით შემაჩერებელი მოწყობილობანი და სხვა), ფიზიკური ძალის, საბრძოლო ილეთების, სასამსახურო ძალების გამოყენება ხდება „პოლიციის შესახებ“ და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად.

10. სრული სია სპეციალური საშუალებებისა, რომლებიც შედის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს შეიარაღებაში, განისაზღვრება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი №812 - სსმ I, №39, 25.12.2004 წ., მუხ.191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3152 - სსმ I, №19, 01.06.2006 წ., მუხ.141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი № 616 - სსმ I, № 35 , 05 . 12 .200 8 წ., მუხ. 222

საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი № 3020 - სსმ I, № 23 , 04 . 05 .2010 წ., მუხ. 139

საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3926 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.

საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3593 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.

თავი V. პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 41. პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოთა საჯარო მოსამსახურეებს და „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტებისათვის ან კანონმდებლობის სხვაგვარად დარღვევისათვის ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პირს, რომელმაც დაარღვია ან ცდილობდა დაერღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი, უკანონოდ გადაკვეთა ან ცდილობდა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, წესის დარღვევით გაიარა ან ცდილობდა გაევიღო სასაზღვრო გამტარი პუნქტი, გაიტანა ან ცდილობდა გაეტანა ტვირთი, მასალა, დოკუმენტები და სხვა საგნები, ანდა სხვაგვარად დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონმდებლობა, ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2015 წლის 27 ოქტომბრის კანონი №4374 - ვებგვერდი, 11.11.2015წ.

საქართველოს 2016 წლის 21 დეკემბრის კანონი №150 - ვებგვერდი, 28.12.2016წ.

თავი VI. გარდამავალი დებულება

მუხლი 42. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლა

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე უცხო სახელმწიფოს ატომურ, სამხედრო ან სპეციალური დანიშნულების გემს, რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს, საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ შემოსვლამდე 48 საათით ადრე დიპლომატიური არხებით შეატყობინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს გემის სახელწოდება, ტიპი, სხვა ნიშნები, შემოსვლისა და გასვლის ადგილი და დრო. გავლის ნებართვას გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ გემებზე, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანთა გადასარჩენად წარმოებულ სამაშველო სამუშაოებში.

საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი № 812 - სსმ I, № 39 , 25 . 12 .200 4 წ., მუხ. 191

საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი № 3152 - სსმ I, № 19 , 01 . 06 .200 6 წ., მუხ. 141

საქართველოს 2008 წლის 5 დეკემბრის კანონი № 616 - სსმ I, № 35 , 05 . 12 .200 8 წ., მუხ. 222

თავი VII. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 43. კანონის ამოქმედება და მისაღები ნორმატიული აქტი

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ეთხოვოს საქართველოს პრეზიდენტს 1999 წლის 1 იანვრამდე დაამტკიცოს „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესი“.

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი,



